

## სპილენძი მევენახეობაში

*ანი გეთიაშვილი*

E-mail: [anniegetiashvii@gmail.com](mailto:anniegetiashvii@gmail.com)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
სადოქტორო პროგრამა „გამოყენებითი ეკოლოგია“  
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, თბილისი, 0179, საქართველო

დღეს ორგანულ მევენახეობაში სპილენძი ერთადერთი მინერალური პროდუქტია ბაქტერიებთან და სხვა სოკოვან დაავადებებთან საბრძოლველად, რომელიც ევროპული რეგულაციებით ნებადართულია. კვლევების თანახმად, ორგანულ მევენახეობა/მეღვინეობაში სპილენძის ჩანაცვლება სხვა საშუალებით მოკლე ვადაში შეუძლებელია. მისი ლიმიტირების საშუალებას მხოლოდ წლის განმავლობაში შესატანი სპილენძის რაოდენობის მართვა იძლევა.

ამ მოკლე მიმოხილვაში საუბარია ორგანულ მევენახეობაში სპილენძის გამოყენებაზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე და რამდენიმე მიზეზზე თუ რატომ უნდა დავფიქრდეთ კარგად ჩვენს ვენახებში შეტანამდე. ასევე განხილულია სპილენძი სხვა პესტიციდებთან მიმართებაში, რაც დღეს ძალიან აქტუალური თემაა.

1950 წლიდან ვაზი კულტურულ ჯიშებს შორის პესტიციდებით ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამუშავებადი გახდა. ხშირად ქიმიური პესტიციდები ვენახში დაავადებების გაჩენამდე შეაქვთ და ეს ხდება როგორც პრევენციული ღონისძიება ან მცენარეთა დაცვის მიღებული პრაქტიკა, მაშინაც კი, როდესაც გრძელვადიან პერიოდში ამან შეიძლება, შეცვალოს მათი ბუნებრივი დაცვის მექანიზმები.

### ლიტერატურა:

- [1] Séralini GE, Douzelet J, Halley JC (2019) Copper in Wines and Vineyards: Taste and Comparative Toxicity to Pesticides. Food Nutr J 9: 196. DOI: 10.29011/2575-7091.100096;
- [2] Conséquences des excès de cuivre dans les sols et les végétaux. Auréa - Laboratoire d'analyse et conseil agro-environnemental. 2017;
- [3] Peut-on se passer du cuivre en protection des cultures biologiques? Résumé de l'expertise scientifique collective, 2018, INRA Science & Impact;